აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება №08\2004

31.05.2004 წ. ქ.ბათუმი

საინიციატივო ჯგუფების მიერ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე საინიციატივო ჯგუფების მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 8 ივნისი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. № 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე